



კავკასიის უნივერსიტეტისა და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობა

კავკასიის უნივერსიტეტი და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი 2019 წლიდან თანამშრომლობენ, რომლის ფარგლებშიც გაფორმდა აკადემიური თანამშრომლობის ხელშეკრულება. შეთანხმების საფუძველზე შემუშავდა ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა კიბერუსაფრთხოებაში.

კიბერუსაფრთხოების ერთობლივი პროგრამა:

კავკასიის უნივერსიტეტისა და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის (აშშ) ერთობლივი პროგრამა კიბერუსაფრთხოებაში პირველი 3 წლიანი საბაკალავრო პროგრამაა საქართველოში, რომლის დასრულების შემდეგაც სტუდენტი მიიღებს ორი უნივერსიტეტის დიპლომს.

პროგრამა სტუდენტს ანიჭებს კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს კომპიუტერულ მეცნიერებაში და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის (აშშ) ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს კიბერუსაფრთხოებაში.

3 წლიანი საბაკალავრო პროგრამა გულისხმობს პირველი 5 სემესტრის განმავლობაში საქართველოში სწავლას, ქართველი და უცხოელი პროფესორების მიერ, ხოლო ბოლო, მე-6 სემესტრს, სტუდენტი სწავლას აგრძელებს ნიუ-ჯერსიში, აშშ-ში.

პროგრამის მიმოხილვა:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

- კავკასიის უნივერსიტეტი - ბაკალავრის ხარისხი კომპიუტერულ მეცნიერებაში
- ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი - ბაკალავრის ხარისხი კიბერუსაფრთხოებაში

კრედიტების რაოდენობა: 200 ECTS კრედიტი

პროგრამის ხანგრძლივობა: 3 წელი

პროგრამის წლიური საფასური რეზიდენტებისთვის: 21 500₾

პროგრამის წლიური საფასური არარეზიდენტებისთვის: 10 000$

პროგრამის კოდი აბიტურიენტების ცნობარში: 1220113

*ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში პროგრამაზე ვრცელდება სახელმწიფო გრანტი - 100%, 70%, 50%





კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა:

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა დაარსდა 2008 წელს. მისი მიზანია დარგის უახლესი მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ლაბორატორიებით, სტუდიებითა და პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისთვის საჭირო სივრცეებით.

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა 2021 წლიდან თანამშრომლობს ევროპის მასშტაბური კიბერუსაფრთხოების ღონისძიების „DefCamp" ორგანიზატორ BIT SENTINEL-თან, რის საფუძველზეც კავკასიის უნივერსიტეტსა და მის პარტნიორ სამეცნიერო კიბერუსაფრთხოების ასოციაციას მიენიჭა უფლებამოსილება, კავკასიის რეგიონში ჩაატარონ საერთაშორისო კიბერუსაფრთხოების ღონისძიებები - ჰაკათონები.

აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში ტექნოლოგიების სკოლაში შეიქმნა კიბერუსაფრთხოების ცენტრი, რომელიც ახორციელებს ეთიკური ჰაკინგის კურსებს BIT SENTINEL-ისა და CyberEDU-ის სპეციალური ვირტუალური მანქანებისა და პროგრამების გამოყენებით.

ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი:

ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი დაარსდა 1927 წელს ნიუ-ჯერსიში, აშშ-ში. დღეისათვის ის შტატის ყველაზე ფართოპროფილიანი და გამოცდილი უნივერსიტეტების რიგებშია.

ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი ერთ-ერთია ქვეყნის იმ რამდენიმე ინსტიტუტთაგან, რომელსაც აქვს ფედერალური უფლებები როგორც კიბერუსაფრთხოებაში, ასევე დაზვერვაში.

ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის კიბერ თავდაცვის პროგრამა დასახელდა აკადემიური ხელოვნების ეროვნულ ცენტრად კიბერ თავდაცვის განათლების სფეროში (CAE-CDE).

ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი







122

- პირველი 3 წლიანი ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა საქართველოში
- პირველი საბაკალავრო პროგრამა კიბერუსაფრთხოებაში
- ორი უნივერსიტეტის დიპლომი
- სწავლა საზღვარგარეთ
- ქართველი და უცხოელი პროფესორები
- საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სწავლება

საკონტაქტო ინფორმაცია:

თათია მაისურაძე
ტექნოლოგიების სკოლის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი

+(995 32) 237 77 77 (285)
+995 577 399 857
tmaisuradze@cu.edu.ge

შოთა ნიჟარაძე
დეკანი

+(995 32) 237 77 77 (340)
+995 595 444 744
shnizharadze@cu.edu.ge

კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის

კიბერუსაფრთხოების 3 წლიანი ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა

1220113